

ნინო სადღობელაშვილი

LIVE

ერთმოქმედებიანი პიესა

ექვნიკა პანდემიის ყველა მსხვერპლს

სცენა ექსტერიერს წარმოადგენს: ახალაშენებული მაღალსართულიანი შენობის წინა ხედი. ირგვლივ ყველაფერი აჭრელებულია სამშენებლო კომპანიის, სხვადასხვა ფირმების სარეკლამო და საარჩევნო ბილბორდებით.

შენობის კედლებზე, სხვადასხვა სართულზე დროდადრო ირთვება პროექცია – უცნობი ადამიანების პირდაპირი ჩართვები სხვადასხვა გარემოდან.

შენობის წინ, ძირს ასვენია თეთრზეწარგადაფარებული გვამი. მაყურებელი შენობის შორიახლოს დგას, შუახნის ქალი მაყურებელს შორის გადი-გამოდის და დამაბული ათვალთვლებს იქაურობას.

ქალი: რა მოხდა? იცით ვინმემ რამე?

შენობის კედელზე ირთვება პირველი პროექცია: მაყურებელი ხედავს მანქანის კაბინას, საჭესთან მჯდომ ახალგაზრდა ქალს შავი სათვალით. მანქანას სწრაფად ატარებს. ქალს მობილური საჭის გვერდით აქვს დამაგრებული, ჩართული აქვს ვიდეო-თვალი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქალი ვიდეო-ბლოგს წერს მანქანის მართვისას:

– ვარდები აყროლდა

იებიც აყროლდა

იავნანა აღარ გამოდის

ან აქამდე როგორ გამოსდიოდა, რანაირად შეეძლო იმსიშორიდან ტელეფონში ემღერა, ვიდეოთვალთ ემღერა, იავნანას ვალი ეგრე მოეხადა, ეგ ყველაზე დიდი და მძიმე ვალია, აი მე ვიცი ეგ ვალი _ ფრჩხილებში ჩარჩენილი მიწასავით დასაფერთხი და გამოსაწმენდია!.. მეზობლების ვალს რო იხდიდა და ბანკის ვალს რო იხდიდა, ის ვალი როგორ დაავიწყდა, როგორ არ გაახრჩო, ყელში რო მოადგა მაგ იავნანას სამღერის ხმა, როგორ არ მოწამლა, გული როგორ არ აურია რო გაღვიძებოდა!.. ჩამოვალ ჰო, ჩამოვალ!.. რა ჯანდაბამ შებორკა!.. ვინ გადაუხდიდა მაგ ვალს? მის შვილს ფრჩხილებიდან მიწას ვინ გამოუწმენდა?.. როგორ დაიჯერა, რომ ტელეფონით შეიძლება დედობა, რომ ვიდეოთვალთ შეიძლება დედობა! ძალიან უნდა ვიჩქარო!.. ეხლა მოვიდეს აყროლებულ ვარდებში, მოვიდეს, აყროლებულ იებზე გული აირიოს, მოვიდეს აბა, ჩახედოს კუბოს _ იავნანა მოუკვდა, სანამ თვითონ ვალებს იხდიდა... იავნანა დამაგვიანდა!.. *(სტოპ-კადრი. ღრჭიალის ხმა. ქალი საჭესთან _ მობილურის ეკრანს შესცქერის)*

შუახნის ქალი მაყურებელს გამოეყოფა და შენობის წინ დასვენებულ გვამთან ძალიან ახლოს მიდის.

ქალი: ამ შენობებს ძალიან დაბალი აივნები აქვს! მყიფე კედლები და დაბალი აივნები! რა უცნაური არქიტექტურული სტილია, ამბობენ რომ ძალიან თანამედროვე, თანამედროვე ადამიანიც ხომ მყიფე და სახიფათოა, ჰოდა მოარგეს შენობებიც, დაამსგავსეს... ისე გვანან ერთმანეთს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინგრევიან!..

შენობის სხვა კედელზე და სხვა სართულზე მეორე პროექცია ირთვება: ჩნდება შუახნის გადაცილებული ქალი, მის ზურგსუკან მსოფლიო რუკაა გაკრული, კადრში შემოდის იქვე ჩამოკიდებული საკლასო დაფის ფრაგმენტიც. ქალი ლეპტოპით ერთვება. ხელები ერთმანეთზე აქვს გადაჭდობილი და მშვიდად საუბრობს:

_ ახლა ყველანი დავხურავთ წიგნებს, რვეულებს, მშვიდად ჩავიწყობთ ჩანთაში, მშვიდად!.. ჩანთებს გვერდით მოვიდგამთ. ძალიან მშვიდად! მე ჩამოვაფარებ ფარდებს. იმიტომ, რომ ზაფხულის მზე თვალებს გტკენთ! მშვიდად! შემოვკეტავთ ფანჯრებს, იმიტომ, რომ ეზოდან ხმაური შემოდის. ისხედით მშვიდად, ჩუმად, თუ

გნებავთ, ხელები მერხებზე დააწყეთ. მე დავათვალიერებ თქვენს ხელებს. მაინტერესებს, ვის გაქვთ საღებავიანი ხელები. მაინტერესებს, რომელმა დაწერეთ იმ კედელზე. თქვენ მშვიდად მეტყვიით, ეს რომელმა ჩაიდინა. მშვიდად ამიხსნით, რას ნიშნავს ის წარწერა კედელზე. არა, მოდი ჯერ სათითაოდ ყველამ გაიმეორეთ, რა ეწერა კედელზე. ხმას რატომ არ იღებთ? გაიმეორეთ! აი ასე! კიდევ! უფრო ხმამაღლა! აი ხედავთ? კედლები უფრო მყარია, ვიდრე თქვენ. თქვენ ისაც კი არ შეგიძლიათ, თქვენივე წარწერები გაიმეოროთ. გამოსავალს მარტო კედლების დამახინჯებაში პოულობთ. ჩვენ შორის დამახინჯებული კედელია. მე ვეღარ ვხედავ, რას აკეთებთ მაგ კედლის იქით. ალბათ ვერც თქვენ ხედავთ, მე რას გავაკეთებ ახლა. როცა თქვენს შორის საღებავიანი ხელებს აღმოვაჩენ. როცა აღმოვაჩენ, რომ ამ ხელებმა განაჩენი გამომიტანეს. როცა კედლის აქეთ ჰაერი აღარ მეყოფა. როცა კედლის აქეთ სიტყვებიც გამითავდება *(სტოპ-კადრი. მზერა კამერაში)*

გვამის გარშემო სასიგნალო ლენტებს ავლებენ. შუახნის ქალი ოდნავ შემალლებულ ადგილას დადგება და ფეხის თითებზე აწეული გადასცქერის იქაურობას.

ქალი: როგორი დაწყევლილი ადგილია! დეიდაჩემიც ზუსტად აქ... აი მაგ ლენტებში... მაგრამ, იცით, იმდღეს გარეთ არავინ იყო. იმიტომ რომ გარეთ ვირუსი იყო და ვირუსის ძალიან ეშინია ყველას. მარტომ ავწიე, მარტომ ავათრიე აი იქ, ბოლო სართულზე, მკლავები ისე დამილურჯდა, როგორც ზამბახები!

(გვამისკენ დაიძვრება) ახლოს მიინდა მივიდე, მაგრამ არ მიშვებენ, ჯერ ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდესო... ახლობელი ხართ? _ ვიღაც მეკითხება. კი კი, ახლობელი ვარ, _ ვფიქრობ და, არაა, გამვლელი... _ ვამბობ.

მიყვარს ორაზროვნება. საკუთარ თავთან ორაზროვნებით თამაში. მამაჩემს და მე გვქონდა ასეთი თამაში. მამა ჯამბაზი იყო გამოძახებით. მარტო მაშინ ჯამბაზობდა, თუ ვინმე გამოიძახებდა, თუარადა სახლში თავჩაქინდრული იჯდა და გაზეთებს კითხულობდა. როცა მე შევასკუპდებოდი მუხლზე, გეგონება მისმა მფარველმა ანგელოზმა ამომშრალი სული მოულოდნელად ისევ ჩაბერაო, ჩემთან ერთად წამოხტებოდა, ამაფრიალებდა ჰაერში და ვიწყებდით თამაშს: აბა, ბედნიერება დამანახე მერცხალო, დამანახე! და მე ვიწყებდი ბედნიერების თამაშს. მერე მეორე მხარეს ამაფრენდა: ახლა დამანახე ტკივილი! აბა, დამანახე, მერცხალო, ტკივილი! მე ტკივილსაც ვთამაშობდი. ბედნიერებას _ ტირილით, ხოლო ტკივილს - სიცილით და, ეს იყო ამ თამაშის მთელი საიდუმლოება.

ძალიან გთხოვთ, ასე უხეშად ნუ მეხებით, ჩემით გადავალ, დიახ, გზის მეორე ნაპირას... დიახ... მანქანასაც ხომ არ შევუვარდე ბორბლებქვეშ?

ერთ ახალ წელს გამოიძახეს მამაჩემი. ის, ის ტიპი იმ სახლში, იმ პატარა კუდრაქა გოგოს მამა, მთვრალი იყო, გაღებულ, ფუ როგორ მეზიზღება ღიპზე ჩამოღვრილი ყვითელი არაყი... ფუ როგორ მეზიზღება ეგ ჩაფსმულივით წინწკლები ღიპზე... ჰოდა ათამაშა და ათამაშა თურმე მამაჩემი, თან თურმე ავტომატი შემოიღო ღიპზე, მიუშვირა მამაჩემს და აი ასე ახტუნავებდა: აბა ეხლა ცუგა გამიკეთე! ალექ ჰოპ! ეხლა ვითომ დაჭრილი ლომი ხარ, იბლავლე! ტკივილი დამანახე! ალექ ჰოპ! ეხლა ახტი და ფეხები პეპელასავით ააფარფატე ჰაერში, ალექ!.. მამიკო, მოგწონს? ხო მოგწონს მამას მილიონო დოლარო? მამას ლამბორჯინო და მამას იბიცა?.. და აღარ აყვა თამაშში მამაჩემი, აღარ ახტა, არც ტკივილი დაანახა და აღარც ბედნიერება, ამბობენ, შეაფურთხაო და მაგიტომ ესროლაო, თორე უბრალოდ რო გამოეხურა კარი და წამოსულიყო, ის არ გაწირავდა ეგრეო... შეაფურთხა თურმე, მე მჯერა, ვხედავ კიდევ, როგორ მოიგროვა ყბებში ნერწყვი, სქელი წებოვანი და მჟავე ნერწყვი და როგორ შეაფურთხა, აი ასე!.. ასე!

მანქანის გაბმული სიგნალის ხმა.

ქალი: მითხრეს, სძინავსო, მე კიდევ მიკვირდა, ჯამბაზის ფორმით რატომ სძინავს-მეთქი, არასდროს არ იძინებს-მეთქი ამ ფორმით, მეტიც _ ვერ იტანს-მეთქი ამ ფორმას, გახადეთ! ახლავე გახადეთ!.. მერე ალბათ ჭიალუებმა შეუჭამეს ეგ ფორმა, მატლებმა გაინაწილეს, ბალახის ფესვებმა, რა ვიცი, მიწაში კიდევ რა არი?

მიწაში... ესე მპასუხობს ხოლმე ყველაფერზე. შევეკითხები _ სად დადე ქალო შენი ტრუსიკი? მიპასუხებს _ მიწაში. შევეკითხები _ აქ რო ჩემი ყავა იდო, სადაა? მეტყვის _ მიწაში. ისე გამოსცრის ხოლმე კბილებში, ამ წ-ს ისე გააწუილებს!..

შენობის სხვა სართულზე მესამე პროექცია ირთვება: სამზარეულო. როგორც ჩანს, ლეპტოპი მაგიდაზე დევს ჩართული, რადგან კადრში ფართო პლანით შემოდის სამზარეულოს ინტერიერი. კუთხეში ახალგაზრდა ქალია ჩამჯდარი, ხელები ფეხებზე შემოუხვევია, ფანჯარას გასცქერის და ისე ლაპარაკობს. დროდადრო ქალი დგება (შესაბამისად, მისი გამოსახულება ქრება კადრიდან), ისმის ჩაიდნის თუხთუხის და სანთებელას ტკაცანის ხმები.

_ ეს ხდებოდა დილით. აი, დავსხდებოდი სასაუზმოდ, მივირთმევდი ჩაის, მურაბიან ფუნთუშებს, (იმას ლორიანი ბუტერბროდი უფრო უყვარს), ვრთავდი მუსიკას (ხან მარია კალასი, ხან ჩეტ ბაკერი), და უცებ, კედლის იქიდან _ ყვირილი, რადიონაირი მონოტონური, თითქოს შეჩვეულ ტონალობაში, და დარტყმის ხმები _ ესაც თითქოს შეჩვეულ ტონალობაში. ავუწევდი მუსიკას _ აუწევდნენ ისინიც.

საერთოდ გამოვრთავდით _ ისინიც ჩუმდებოდნენ, თუმცა ცოტა ხნით, და მერე ისევ თავიდან იწყებოდა. საღამოსაც ასე იყო, როცა ჩვენ სავახშმოდ ვსხდებოდით. კედლის იქით _ ისევ ყვირილი და დარტყმის ხმები. ერთხელ მიყურა ამან, ჩემმა, მიყურა, ეტყობა გაოგნებული თვალები მქონდა და მეუბნება _ აი, რა ბედნიერი ქალი ხარ, ასეთი ქმარი რომ არ შეგხვდით. გაგიმართლავ. მე ისეთი გამართლებული ვარ, ისეთი ბედნიერი ვარ, ხანდახან ვეღარ ვიტევდი ხოლმე და მივუკაკუნებდი კედელზე იმასაც, ბედნიერების რიტმია ასეთი _ 2 სწრაფად და 5 ნელა (ახმოვანებს რიტმს), სულ შვიდი დარტყმა.

შვიდი დარტყმა. 2 თავში და 5 ზურგში. რა სიმხეცეა, რა იდიოტიზმია, საერთოდ არ იციან ბედნიერების ფასი. მე ისეთი გაოგნებული თვალები მაქვს, ყველა თვალს მარიდებს, ამ ბედნიერების აღქმა უჭირთ. მუსიკას რო ვრთავთ, მერე ხმამაღლა ვუწევთ, კედლის იქიდან ჩამიჩუმი აღარ გამოდის, მარტო ჩვენი მუსიკა ისმის და ბედნიერების დარტყმები... მე ვფიქრობ ამდენს ვეღარ გავუძლებ. ორს თავში და ხუთს ზურგში, ან სამს სახეში და ოთხს მუცელში, ან შვიდივეს გულში ან... (სტოპ-კადრი. მზერა კამერაში)

საყვირების ხმა. ქალი ყურებზე წაივლებს ხელს და მეორე მხარეს ისკუპებს

ქალი: ერთი სარკე გვაქვს _ სულ მგონია, რომ შიგნით აჩრდილები ცხოვრობენ. მთელი ჩვენი ოჯახი, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, მაგ სარკეშია შებუდებული. ოვალურია, ოქროსფერი წნული ჩარჩოთი. დედაჩემი და მამაჩემი რომ შიგნით ცხოვრობენ, მაგას წყალი არ გაუვა. დამლამობით გადმოდიან კიდეც, როგორც წყლით გაპიპინებული ჯაკუზიდან და დაბორიანებენ მთელ სახლში, ეს კიდეც _ ეს, გაქუცული ფლოსტების ჩლატუნით და თავის კანტურით დასდევს იმათ სველ ნაფეხურებს, ამშრალებს დედაჩემის ძველი კაბის ნაგლეჯით და ბურტყნებს: მიწაში წადით, მიწაში!

წავიდნევენ! _ გამოვუვარდი იმდღეს. წავიდნენ უკვე, მორჩიი, იქ მაინც დაასვენე! იმხელა ხმაზე ვუყვიროდი, მეზობელმა პატრული დამაყენა თავზე. არა თქვენ არა, თქვენ პირიქით, მე გამოგიძახეთ, დავინახე თუ არა ეს... აქ რომ ეგდო... მაშინვე, პირველმა მე დავრეკე, მე პასუხისმგებლიანი მოქალაქე ვარ! მე ვიცავ სამოქალაქო წესებს და ყოველთვის ვრეკავ პატრულში, თუკი ეს საჭიროა! ოქმი? ჩემთან ოქმი უნდა შეადგინოთ? კი ბატონო, მზად ვარ!

ქალი ჩამოჯდება, გულხელდაკრეფილი. ჩანთიდან პირადობას ამოიღებს და მიმოატარებს, რომ ყველამ დაინახოს

ქალი: მე აქ 13 საათსა და 15 წუთზე გავიარე. დავაზუსტებ _ 13 საათსა და 17 წუთზე, მობილურს რომ დავხედე, ეგ დრო იყო. რატომ დავხედე? თქვენთან რომ დამერეკა. ა, ფოტო? არ გადამიღია არავითარი ფოტო. აქ რა მინდოდა? განცხადებებს ვაკრავ შენობებზე და იმიტომ. აი განცხადება _ „ვარ პროფესიონალი მსახიობი და მომღერალი. ბინაზე მისვლით თქვენს პატარებს გავუხალისებ იზოლაციის მძიმე და მოწყენილ დღეებს. გამომიძახეთ და თქვენთან ჩემი სახით ცხრაფრთიანი სიხარული მოვა!“ დიახ, გვამი უკვე აქ ეგდო, აღენიშნებოდა სილურჯე სახის არეში _ თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კიდურები სავარაუდოდ დამსხვრეული... აბა იმსიმაღლიდან ფრენას ეხუმრებით?.. ეგდო სრულიად მარტო, სიჩუმეში, არავითარი ხმა არსაიდან!.. ეს როგორ პოეტურად გამომივიდა, არადა მამაჩემისგან ვიცი, რომ ლირიკა არაფერში გჭირდება ადამიანს, ლირიკა ლუპავს, პროფესიულადაც და ისედაც, ეტყობა ეს... გვამიც ლირიკამ დალუპა! თქვენც ასე ფიქრობთ?.. რა, მოვრჩით? ჩემგან მეტი არაფერი გაინტერესებთ?.. კიბატონო, შორს არ წავალ, აქვე ვიდგები.

დგება და შენობაში შედის. იწყებს კიბეზე ასვლას. მის გამოსახულებას მაყურებელი მხოლოდ მაშინ ხედავს, როცა სართულის ბაქანზე შედგება და გადმოიხედავს.

ქალი: ხან ვფიქრობ დავუჯდე და დაველაპარაკო, აი ამოვულაგო გულიდან, რაც ამდენი წელია მაწუხებს, მთელი ცხოვრება მაწუხებს და ვერ ვეუბნები, ვფიქრობ ხოლმე _ ერთ საღამოსაც შევყვე იმ თავის შარდის სუნით აქოთებულ საძინებელში, არ შევიძინო არაფერი, უბრალოდ ძალიან დიდი მოთმინებით ჩამოვუჯდე საწოლზე და ვუთხრა, ბოლოს და ბოლოს ვუთხრა, რომ ვიცი ყველაფერი და აღარ უნდა ამდენი თავის მოკატუნება და ჩემი მსხვერპლის როლის თამაში! მაგრამ როგორც კი ამას დავაპირებ, მაინც და მაინც იმ დღეს უნდა ჩაიდინოს რამე ისეთი რაც ჭკუიდან გადამიყვანს: ან ახალგაკეთებული სადილის ქვაბში უნდა ჩამიფსას, ან ახალგაფენილი სარეცხი შემოიტანოს და იატაკი მოწმინდოს იმით, ან ნათესავებში ჩამორეკოს და ჩემზე ხმამაღლა ეჭორაოს, მაბეზღოს და მაბეზღოს!.. ახლობელი აღარ დამიტოვა გარშემო, ყველას ურჩხული ვგონივარ, შემომხედეთ ერთი, მე ვგონივარ ურჩხული, ჭიანჭველას რომ არ გავაღვიძებ ისეთი არსება!.. ეგო სულ იმის ბრალია რო საქმე აღარ გაქვსო და ვეღარ იხარჯებიო და მაგ ქალზე იყრი ჯავრსო, იმდღეს ერთი მეუბნება. ის იგულისხმა, თეატრები და ყველაფერი რო დაიხურა და სახლებში გამოგვკეტეს. აქამდე თუ არ გაწუხებდა, ახლა როგორ გააფრინა ეგრეო. არ გაწუხებდაო!.. აბა იმან რა იცის! ან დედამიწაზე ვინმე მანახეთ, ვინც სხვაზე ასპროცენტიანი სიმართლე იცის!.. ამიტომ, მგონი ძალიან დიდი ქაჯობაა სხვის დამუნათება, როცა არაფერი იცი. ერთი დიდი სიბნელეა ეს ცხოვრება... სიბ-ნე-ლეეეეე!

უკაცრავად, მეტს აღარ ვიყვირებ. მესმის, რომ წუხხართ, ბოლოს და ბოლოს ეს გვამი... რას ამბობენ? სიყვარულის გამოო? ეჭვიანობის? როგორ, თვითონ თუ სხვამ?

სიყვარული... ეგ ის არის, მართლა რომ კლავს. ასახიჩრებს, აბოროტებს, აძულებს. როგორ მომიტანა დედაჩემის დაკრძალვაზე ვარდები!.. ოთახში რომ შემოვიდა, ყველამ ახედა უნებურად, ისეთი იყო _ მანათობელი, თვალისმომჭრელი! იმ თავის შავ გრძელ პალტოში და კრემისფერ შარფში, იმ თავის ტყავის ხელთათმანებში, კრემისფერ ვარდებში, უზარმაზარ თაიგულში!.. მუხლებთან ძალიან ახლოს დამიწყო, მერე ცალ ხელზე ხელთათმანი გაიძრო და ფრთხილად დამადო, მომიჭირა, ჩემი ორივე მუხლისთავი ჩაეტია მაგის მუჭში, ყურთან მომიტანა ტუჩები და მეუბნება: აი ეგეთი მინდიხარ ამ წუთშივეო, შავებში ჩაცმულიო, ატირებულიო. მე მეგონა ტონა მდულარე გადმომისხა ტუჩებიდან ყურში, ისე ამეწვა უცებ ყველაფერი, ისე ჩაფლითა და ჩათუთქა მთელი სხეული.

მაგის უკან რო ქალი მოდიოდა, ერთი რიგითი მესცენე (მე ეგეთებს სხვანაირად არც ვეძახი), უსახო და უფერული, აი მაგასთან წავიდა ბოლოს, ჩემ შავ კაბას და ატირებულ თვალებს გასცდა და იმის კვილაამდე წითელი პომადით გადაგლისა ყველაფერი, მთელი ჩემი სიცოცხლე!..

შენობის ერთ-ერთ სართულზე მეოთხე პროექცია ირთვება: ეკრანზე ვხედავთ ფეისბუქ-გვერდზე განთავსებულ სტატუსს, გულებით, ლაიქებით, ვიღაც იქვე წერს კომენტარს. სტატუსს ქალის ხმა კითხულობს სწრაფად და ისტერიულად:

_ ამ სტატუსს ვწერ მათთვის, ვინც სხვის ომში ბრძენია და სეირის ყურებით ვერ ძღება ხოლმე. მოდით, ჯერ კარგად გაიგეთ რა და როგორ მოხდა და მერე გამგზავნეთ ჯანდაბაში, ოქეი? სულ ერთი წუთით წარმოიდგინეთ თავი ჩემ ადგილას და თქვენს შინაგან ხმას მოუსმინეთ, ოქეი? მე არ ვაიძულებდი მას არც მეგობრობას, არც დახმარებას, არც სიყვარულს, არაფერს საერთოდ! ეს ორმხრივი და ბუნებრივი პროცესი იყო. მეც უამრავჯერ გამიწირავს თავი მისთვის და ისეთი რაღაცეებიც გამიკეთებია, დედამამიშვილი რომ არ გააკეთებს ან შეყვარებული! მაგრამ არასდროს გამომიფენია საჯაროდ არც ჩემი სიკეთე და არც ემოცია, ახლაც ნერვები მეშლება ამეებს რო ვწერ და რაღაცების მოყოლა მიწევს, მაგრამ ჯობია ისევ ჩემგან გაიგოთ სიმართლე. ყველა თვითონ ირჩევს თავის ცხოვრებას. იმან ეგეთი ცხოვრება აირჩია და მე კი არა, ქრისტე და ბუდა ვერაფერს შეცვლიდა, ისეთი ჯიუტი იყო. მე რა უნდა მექნა? გავვარდნილიყავი და დამებუზლებინა? ან მე რატო მთხოვთ პასუხს იმაზე, რაც ვიცოდით? ჩვენ ყველამ სათითაოდ იმდენი რამე ვიცით, რომ მოვალეთ პირი და ვილაპარაკოთ, მერე ნახეთ თქვენ მსოფლიო ომები. მე ისეთ მდგომარეობაში ვარ, გარეთ გასვლა მეშინია, სულ მგონია ვიღაცა ამეკიდება და თავში რაღაცას ჩამარტყამს,

ან შემაფურთხებს ან რამეს ისეთს მომადახებს, რო ან თავი უნდა მოვიკლა, ან ის მოვკლა. ჩემზე ვინმემ იფიქრა საერთოდ? მარა ვინმეზე რა მეტქმის, როცა თვითონ იმანაც კი არ იფიქრა... იმან თავისი არჩევანი გააკეთა და მორჩა. მაგრამ მეც მაქვს არჩევანი! და მე ამ არჩევანით სხვებზე მაღლა ვდგავარ! დიახ, სხვებზე მაღლა!..
(სტოპ-კადრი)

შუახნის ქალი სულ უფრო ზევით ადის.

ქალი: როგორ დამჩხაოდა მერე ეს სახლში _ მოტყუებულოო, შე ჩემსავით მოტყუებულოო, აგახიეს სახე და სახელიო?... ვეღარ შევიკავე თავი და მაშინ ვლექე პირველად... მაშინ წაიქცა პირველად, დერეფანში, გადაქანდა და ჯერ კარადას მიეჯახა, მერე ჩაიკეცა... ვასხი წყალი, ვეჯაჯგურე, მალევე გაახილა თვალები და ისე საწყლად შემომხედა... მახსოვს მე ეგ თვალები!.. მაშინ პირველად დავუძახე დეიდა. პირველად და უკანასკნელად. რას მერჩი დეიდაჩემო-მეთქი, ვუთხარი, მკლავებზე მყავდა ჯვარცმული ძესავით გადაწვენილი და ვირწეოდი მასთან ერთად და ვლაპარაკობდით ასე, ჩუმად... მაშინაც მინდოდა რომ მეთქვა ყველაფერი,

მინდოდა მომეყოლა, როგორ დავინახე მაშინ, ბავშვობაში, ის სცენა _ შემოდის მამა, ნაჯამბაზევი მამა, დაღლილი და შემცივნილი, იხდის ტალახიან ბათინკებს და ცოტახნით კართან ჩერდება, აზრზე რომ მოვიდეს, დედა შინ არაა, დედა წასულია თავის კლიენტთან, კაბა უნდა მიუტანოს, მარტო მე და დეიდა ვართ შინ, მე ჩემს ოთახში ვარ და გაქუცული კარტით ვთამაშობ ჩემთვის, კარი ოდნავაა ღია და ვხედავ ამას, ვხედავ _ დეიდა იღებს მამას ბათინკებს და გულში იხუტებს, მამა კარებსაა აკრული, დეიდა მამას ტალახიან ბათინკებს კოცნის, ითხვრება თვითონაც, მერე გულში იხუტებს ამ ბათინკებს და მამას უახლოვდება, მე გული ისე მიცემს, ლამის ყურები დამიხეთქოს, ამ მანძილს ვერ გადავიტან, ვფიქრობ _ ამ გზას დეიდაჩემიდან მამაჩემამდე და ვყვირი უცებ: მამიკოო!.. და ყველაფერი ბნელდება ისევ.

შენობის ერთ-ერთ სართულზე მეხუთე პროექცია ირთვება: ჟურნალისტი გოგონა მობილურის კამერით ხელში. ჩართულია LIVE:

მე ახლა ვიმყოფები შემთხვევის ადგილას. თქვენ ექსკლუზიურ კადრებს უყურებთ, ამიტომ არ გადართოთ სხვაგან, მიყურეთ მხოლოდ მე და ჩემთან ერთად გაიარეთ ცხელი კვალი დანაშაულის ადგილამდე. როგორც ამბობენ, დაზარალებული ამ ტყეში შევიდა. შევდივართ! ხომ არ გეშინიათ? გაიარა ეს უღრანი ტყე და დაემუა ამ თავდაღმართზე! მომყევით! რა ვიცით მკვლელობის მოტივაციის შესახებ? ის, რომ დაზარალებული ფლობდა საიდუმლო სახელმწიფო ინფორმაციას, რომლის ხელყოფა არაერთ ჩვენს მოსისხლე მტერს სურდა. ინფორმაციის ხელყოფა, ცხადია. მაგრამ მათ დაზარალებულის ხელყოფაც განახორციელეს. ხოლო თუ საიდან ჰქონდა

მას ეს ინფორმაცია, ამას გამოძიება დაადგენს. ჩვენ დანაშაულის ადგილამდე უნდა მივიდეთ და მოვახდინოთ დანაშაულის ჩადენის რეკონსტრუქცია. ესაა ხევი, რომელშიც დაზარალებული სავარაუდოდ გადმოაგდეს. მაგრამ საკითხავია, როგორ მოხვდა ცხედარი მდინარეში? მოდით, ვითომ მე ვარ ცხედარი და ვწვები აქ, (თქვენ ხედავთ _ ხევს მდინარის პირას). იქნებ დაჭრილი ვარ და წყალი მომინდა? კარგი, ვთქვათ ჩავფორთხდი მდინარეში. მინდა გითხრათ, რომ წყალი ძალიან ცივია და სულ რომ არ წამილოს, სიცივე მაინც მომკლავს. აი თქვენ ექსკლუზიური სიუჟეტი! მე უკვე წყალში ვარ! მე მთელი ცხოვრებაა მინდა ექსკლუზიური სიუჟეტის გაკეთება. ისეთის, როგორიც ჯერ არავის უნახავს, მასმედიის არსებობის მანძილზე. რით გააკვირვებ დღეს მაყურებელს? საიდუმლო სახელმწიფო ინფორმაციით? მდა... აი ამით, ძვირფასო ტელემაყურებლებო, აი ამით! ექსკლუზიური სიუჟეტით! აი ჩემკენ უკვე მოემართება ვეებერთელა ტალღა. ეს ალბათ ის ტალღაა, რომელმაც დაზარალებული წაიღო. აი მე ვგრძნობ მის ძალას. ვგრძნობ მის... *(კადრი ბნელდება)*

შუახნის ქალი შენობის ბოლო სართულს უახლოვდება.

ქალი: რამე ხომ არ გაირკვა? მოაკითხა ვინმემ ამ საცოდავს? სახლს ჩხრეკენ? საიდანაც გადმოვარდა? რას იპოვიან იქ? განა ასე ჩანს ხოლმე გადმოფრენის მიზეზი? ასე ადვილად დასანახია მიზეზები?.. მებრალებით, ვინც იმ სახლში დახვდებით, გულწრფელად მებრალებით, ვინ იცის რას აღარ მოგიგონებენ!..

ჩემზეც ხომ იგივეს ამბობენ _ ურჩხულიო, მანიაკიო, როგორ ტანჯავს მოხუცსო!.. მე მთელი გულით მინდოდა მასთან ზავი. იყო კიდეც პერიოდები, როცა უხმო ზავი გვქონდა. მე ჩემს ოთახში ჩემს როლებზე ვფიქრობდი, შინ გვიან ღამით ვბრუნდებოდი, მას ძირითადად სულ ეძინა, ან ტელევიზორს უყურებდა, რაღაცნაირად არ გვაინტერესებდა ერთმანეთი, თითქოს დამავიწყდა კიდეც მისი არსებობა. ერთხელ ჩაიც კი დამახვედრა _ სიმართლეს ვიტყვი, მესიამოვნა. ჩაი მივირთვი და უცებ მეუბნება _ დედაშენი მესიზმრაო, შენზე დარდობდა _ სულ გაბოზდაო... საკურთხი მაინც გაუკეთე, რაღაცით ნამუსი რომ მოიწმინდოო. თურმე ამისთვის ადულა ის ჩაი _ შხამად რომ ექცია ჩემთვის. მითხარით, ვინმე ჩემ ადგილას ამას მოითმენდა?..

ქალი იღებს საკუთარ მობილურს, ოთავს ვიდეოს. ჯერ საკუთარ თავს უღებს. შენობის კედლებზე, სადაც მანამდე პროექციები ჩაირთო, ყველგან ქალის (და მერე იმის, რასაც ის იღებს) გამოსახულება ჩნდება.

ქალი: მე ვეძებ სამსახურს. შემიძლია ვიყო მსახიობი გამოძახებით. შემიძლია დაგანახოთ ტკივილი ან ბედნიერება, რომელსაც აირჩევთ, ან გავაკეთო კბილატკივბული ნიანგის ან მდიდარი ქალბატონის პუდელის ეტიუდი, გააჩნია

თქვენ რა გუნებაზე იქნებით! მე ყველაფერი შემიძლია! ისაც კი შემიძლია, თქვენც ჩაგრთოთ თამაში, რათა თვითონ განიცადოთ ყველა ეს შეგრძნება! მაგრამ არ შეგეშინდეთ, ეს მხოლოდ თამაში იქნება!..

ქალი მოატრიალებს მობილურის კამერას და ახლა იმის გადაღებას იწყებს, რაც მის წინ გამოჩნდება: ბოლო სართულის კიბე, ბაქანი, სახლის კარი.

ქალი: ვისაც არ ეშინია, ის ბოლომდე იღებს სიამოვნებას. აი მას კი შეეშინდა! ბოლოს მაინც შეეშინდა!.. ჯერ მითხრა, მე რომ რამე მომივიდეს, შენ დაგბრალდება ესეცო, უკან გაგიყოლებო. არა-მეთქი, ახლა ის დრო აღარ არის, ყველა მტკიცებულება შემიძლია-მეთქი შევაგროვო, ფოტო და ვიდეო, ხმოვანი ჩანაწერები, ყველაფერი – შენახული მაქვს აი ამ ტელეფონში და თუ რამეა, აქედან გაარკვევენ!..

ქალი აღებს სახლის კარს. შედის. მისი მობილურის კამერა აფიქსირებს – დერეფანს, მისაღებ ოთახს...

ქალი: მე არ ვიცი, საიდან მოვიდა აივანზე ის ტილო. ალბათ თვითონვე დააფინა, ღამე წვიმდა და აივანზეც შემოასხა წვიმამ, დასველდა ტილო და... მე როგორ დავაფენდი, აივანი მაგის სამფლობელო იყო, დღედაღამე იქ იჯდა, ეწეოდა და ჩემი ბავშვობისდროინდელ კარტს შლიდა, გაუთავებლად, მეზობლებს ათვალიერებდა და ყველას ჭორავდა, აივანი მისი ბუდე იყო, მისი, მე საიდან დავაფენდი იქ ტილოს? ფეხი როგორ აუცდაო ვინმე იკითხავს. მთელი მისი ცხოვრება ფეხის აცდენა არ იყო? რა შუაშია ლირიკა. ადამიანის ბედი ლირიკაზე უფრო გამაღიზიანებელია. კი, შინ ვიყავი, კი, ჩაის მივირთმევედი სამზარეულოში, კი, ისე მიცემდა გული რომ ყურებს ხეთქავდა, კი, მომამახა „მიწაშიო“ და ამ „წ“-მ ისე ჩამიწულია, ყველა კადრმა ერთად იხუვლა თვალიწინ, მთელმა ჩემმა მეხსიერებამ უცებ ომი გამომიცხადა და გაუფრთხილებლად დამბომბა, ისეთი ჭურვები იყო, ისეთი!.. რამდენი ნაბიჯია სამზარეულოდან აივანამდე? (გაივლის მანძილს სამზარეულოდან აივანამდე, რამდენჯერმე. კამერაში ჩანს მხოლოდ მისი ფეხსაცმელები, ნაბიჯები) შვიდი. შვიდი იქით, შვიდი აქეთ. მახსოვს, გავედი. იქ იჯდა. მოწყენილობისგან კიდევ უფრო დაუშნობელი. თითქოს რაღაცას გრძნობდა წინასწარ. თითქოს შეგუებულ იყო. ამან უფრო გამაღიზიანა. მეთქი, ვერ ხედავ? - სარეცხი სველდება, ან გამატარე და ან ჩამოხსენი. წამოდგა. ტილოზე დადგა. გადაეყუდა. ის ტილო მე არ დამიფენია, ალბათ თვითონვე... მაღალსართულიანი შენობების დაბალმოაჯირიანი აივნები... (ქალი თვითონაც გადაეყუდება აივნიდან, აქეთ-იქით იყურება. მობილურის ეკრანს მიმოატარებს გარემოს) წვიმის სუნი მაღიზიანებდა. პირდაპირ ტვინში მირტყამდა. მახსოვს ჩემი ხელისგული მის ზურგზე. მახსოვს ძალა, რომელიც იმ მომენტში ჩემმა ხელისგულმა იგრძნო. მახსოვს, როგორ ჩაიბურტყუნა რაღაც. თუ ამოახველა. მაგრამ მეტი არაფერი მახსოვს. როგორც კი მეტზე ფიქრს ვიწყებ, მაშინვე ბნელდება გონებაში. მე კი ვკვდები სიბნელეში, ვკვდები, ისე მეშინია სიბნელის. სიბ ნე ლის...

ქალი აივნიდან გადმოიხედავს.

ყვირილის ხმა.

ეკრანი ქრება. ბნელდება.

რამდენიმე წამში შენობის კედლებზე ყველა პროექცია ერთდროულად ირთვება.

შენობის წინ ზეწარგადახდილი გვამი გდია.